

სს “არგო”

ფინანსური ანგარიშგება
და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2023 წლის 31 დეკემბერი

სს “არგო”
სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3-6
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
სრული შემოსავლის ანგარიშგება	8
კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება	9
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	10
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	11
ანგარიშგების ბოლო გვერდი	35

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „არგო“-ს მფლობელებსა და ხელმძღვანელობას:

ფინანსური ანგარიშგების დასკვნა

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ სს არგო-ს (შემდგომში კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის შედეგებს და ფულადი სახსრების მოძრაობას აღნიშნულ თარიღში დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISAs) შესაბამისად. ჩვენი ვალდებულებები აღნიშნული სტანდარტების მიხედვით, დაწვრილებით აღწერილია ანგარიშის ფინანსური ანგარიშგებების განყოფილებაში დასახელებით - აუდიტორის ვალდებულებები ფინანსური ანგარიშგებების აუდიტისთვის.

ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებელი ორგანო, ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოსა (IESBA Code) და იმ ეთიკური მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც დადგენილია ფინანსური ანგარიშგების აუდიტისთვის საქართველოში. ჩვენ ვადასტურებთ, რომ შესაბამისად შევასრულეთ ჩვენი ეთიკური უფლება/მოვალეობები როგორც ქართული, ასევე ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების (IESBA Code) მოთხოვნების შესაბამისად.

ჩვენ მივიჩნევთ, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულება შესაბამისია და საკმარის საფუძველს იძლევა ჩვენი მოსაზრების წარმოსადგენად.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

კომპანიის მენეჯმენტი ვალდებულია წარადგინოს მმართველობის ანგარიშგება. მმართველობის ანგარიშგება მოიცავს ინფორმაციას კომპანიის საქმიანობის შესახებ, რისკის ანალიზს, სამომავლო გეგმებსა და სხვა ინფორმაციას ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან ერთად, ჩვენი ვალდებულებაა ზემოთხსენებული მმართველობითი ანგარიშგების მიმოხილვა, რათა განვიხილოთ არის თუ არა მმართველობის ანგარიშგებები მატერიალურად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან ჩვენს მიერ აუდიტის ჩატარების პროცესში მოპოვებულ ინფორმაციასთან და წარვადგინოთ შესაბამისი ანგარიში.

გარდა ამისა, ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით (კანონი) განსაზღვრული ნაწილების (საქმიანობის მიმოხილვა) ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში. ჩვენს მიერ შესრულებული სამუშაოებისა და ყველა მატერიალური ასპექტის გათვალისწინებით, ვაცხადებთ:

- მმართველობის ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია იმ ფინანსური წლისთვის, რომლისთვისაც მზადდება ფინანსური ანგარიშგება, შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებას.
- ანგარიში მომზადებულია საქართველოს კანონის - „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ შესაბამისად და შეიცავს ამ კანონით მოთხოვნილ ყველა ინფორმაციას.

მნიშვნელოვანი გარემოება

ჩვენი აუდიტის დროს, ჩვენ განვიხილეთ კომპანიის საიჯარო ხელშეკრულებები და შევაფასეთ, ფასს 16-ის გამოყენებადობა.

კომპანიამ გამოავლინა იჯარები, რომლებიც ექვემდებარება ფასს 16-ს. თუმცა, თანხების განხილვის შემდეგ, ხელმძღვანელობამ დაადგინა, რომ ამ იჯარის გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე უმნიშვნელოა. შედეგად, ეს იჯარები არ იქნა აღიარებული ბალანსში ფასს 16-ის მიხედვით. მენეჯმენტის შეფასება შეესაბამება ბასს 8-ის მოთხოვნებს: სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები, რაც იძლევა არამატერიალური მუხლების გამორიცხვას ფინანსური ნაწილიდან. მოხსენება.

ჩვენი პროცედურებიდან გამომდინარე, ჩვენ ვეთანხმებით მენეჯმენტის შეფასებას და მიგვაჩნია, რომ ამ იჯარის განხილვამ არ გამოიწვია ფინანსური ანგარიშგების რაიმე არსებითი უზუსტობა.

მენეჯმენტისა და სხვა პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობები ფინანსური ანგარიშგების აუდიტისთვის

მენეჯმენტი ვალდებულია მოამზადოს სათანადო ფინანსური ანგარიშგება, რომელიც შესაბამისობაშია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან (IFRS). იმისათვის რომ გავცეთ სათანადო ფინანსური ანგარიშგება ასევე საჭიროა ფინანსური ანგარიში მთლიანად დაცლილი იყოს უნებლიე თუ განზრახ დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან.

ზემოთხსენებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, მენეჯმენტი ვალდებულია შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის შესაძლებლობა სამომავლო პერიოდში. ანგარიში უნდა მოიცავდეს ინფორმაციას სამომავლო რისკების ან რაიმე პრობლემის წარმოქმნის შესახებ. ფინანსური ანგარიშგება უნდა იყოს მომზადებული ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით, რაც გულისხმობს, რომ ხელმძღვანელობას არ აქვს განზრახული კომპანიის ლიკვიდაცია ან ოპერაციების შეწყვეტა, ან არ აქვს ასე მოქცევის ალტერნატივა.

აუდიტის პასუხისმგებლობები ფინანსური ანგარიშების აუდიტისთვის

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშები მთლიანად თავისუფალია და უნებლიე განზრახ დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან, და გავცეთ აუდიტის დასკვნა, სადაც მოცემულია ჩვენი მოსაზრება. გონივრული მტკიცებულება არის მტკიცებულების მაღალი დონე, მაგრამ არ არის გარანტია, რომ ISA-ს შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის აღმოაჩენს არსებით ცდომილებას, ასეთის არსებობის დროს. ცდომილება შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის გამო და მიიჩნევა არსებითად, თუკი მოსალოდნელია, რომ ერთობლივად ან ცალკე-ცალკე, გავლენას იქონიებს მომხმარებელთა მიერ აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე.

როგორც აუდიტის ნაწილი ISA-სთან შესაბამისად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიონალურ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიონალურ სკეპტიციზმს აუდიტის განმავლობაში. ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსური ანგარიშების განზრახ ან უნებლიედ დაშვებული არსებითი ცდომილების რისკებს, აღნიშნული რისკების საპასუხოდ შევიმუშავებთ და ვასრულებთ აუდიტის პროცედურებს და მოვიპოვებთ ჩვენი მოსაზრებისათვის საკმარისი საფუძველის და
- შესაბამის აუდიტის მტკიცებულებას. თაღლითობისგან წარმოშობილი არსებითი ცდომილების ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომის შედეგად წარმოშობილი არსებითი ცდომილებისა, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, არასწორ ინტერპრეტაციას ან შიდა კონტროლის მექანიზმების დარღვევას/უარყოფას;
- გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისობა და სააღრიცხვო შეფასებების და მენეჯმენტის მიერ მათთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნების გონივრულობის შეფასება.
- სააღრიცხვო მიზნებისათვის მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენების შესაბამისობის შეფასება და მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულების საფუძველზე, აზრის გამოთქმა არსებობს თუ არა მნიშვნელოვანი უზუსტობა იმ მოვლენებსა და პირობებთან დაკავშირებით, რომლებმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსი.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგებების ზოგად წარმოდგენას, სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით. თუ რამდენად სამართლიანად ასახავს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები იმ ტრანზაქციებს და მოვლენებს, რომლის საფუძველზეც მოხდა მათი მომზადება.
- მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

სხვა საკითხების განხილვა მენეჯმენტთან არ მომხდარა.

ჩვენ ვადასტურებთ, რომ ჩვენ ვიცავთ ყველა საჭირო ეთიკურ წესს დამოუკიდებლობის შესახებ და გვაქვს კომპანიასთან კომუნიკაცია ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს ჩვენს დამოუკიდებლობაზე.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულება შესაბამისია და საკმარის საფუძველს იძლევა აუდიტის მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად.

აუდიტის შემოწმების ხელმძღვანელი, რომელმაც შეადგინა წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, არის გოჩა ჭოლოკავა (SARAS-A-374286).

შპს PKF Georgia (SARAS-F-798362)

28 მარტი, 2024

თბილისი, საქართველო

PKF GEORGIA LLC

ჩვენ ვადასტურებთ, რომ ჩვენ ვიცავთ ყველა საჭირო ეთიკურ წესს დამოუკიდებლობის შესახებ და გვაქვს კომპანიასთან კომუნიკაცია ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს ჩვენს დამოუკიდებლობაზე.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულება შესაბამისია და საკმარის საფუძველს იძლევა აუდიტის მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად.

აუდიტის შემოწმების ხელმძღვანელი, რომელმაც შეადგინა წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, არის გოჩა ჭოლოკვა (SARAS-A-374286).

შპს PKF Georgia (SARAS-F-798362)

28 მარტი, 2024

თბილისი, საქართველო

გოჩა



სს „არგო“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ლარში '000

	შენიშვნა	31-დეკ-23	31-დეკ-22
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	84,408	72,724
არამატერიალური აქტივები	6	7,147	7,844
სულ გრძელვადიანი აქტივები		91,555	80,568
მიმდინარე აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	3,646	9,172
წინასწარ გაწეული ხარჯები	8	2,061	2,048
მარაგები	9	10,565	10,202
ფული და ფულის ეკვივალენტები	10	375	358
სულ მიმდინარე აქტივები		16,647	21,780
სულ აქტივები		108,202	102,348
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	11	39,125	39,125
დაგროვილი ზარალი	11	(17,733)	(12,437)
სხვა რეზერვები და დაფინანსება	11	19,443	7,680
მოგება ბიზნესის შესყიდვიდან	11	12,932	17,553
სულ კაპიტალი		53,767	51,921
გრძელვადიანი ვალდებულებები			
იჯარები	12	264	818
მიღებული სესხები	13	30,369	32,198
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		30,633	33,016
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	9,245	6,391
მიღებული ავანსები		210	2,857
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	15	2,786	4,969
გადასახდელი პროცენტი	17	1,513	916
მოკლევადიანი სესხები	16	10,048	2,279
სულ მიმდინარე ვალდებულებები		23,802	17,411
სულ ვალდებულებები		54,435	50,427
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		108,202	102,348

ხელმომწერი პირი:

აღმასრულებელი დირექტორი

28 მარტი 2024

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 10-30 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-5.

სს "არგო"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ლარში '000

	შენიშვნა	31-დეკ-23	31-დეკ-22
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	84,408	72,724
არამატერიალური აქტივები	6	7,147	7,844
სულ გრძელვადიანი აქტივები		91,555	80,568
მიმდინარე აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	3,646	9,172
წინასწარ გაწეული ხარჯები	8	2,061	2,048
მარაგები	9	10,565	10,202
ფული და ფულის ეკვივალენტები	10	375	358
სულ მიმდინარე აქტივები		16,647	21,780
სულ აქტივები		108,202	102,348
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	11	39,125	39,125
დაგროვილი ზარალი	11	(17,733)	(12,437)
სხვა რეზერვები და დაფინანსება	11	19,443	7,680
მოგება ბიზნესის შესყიდვიდან	11	12,932	17,553
სულ კაპიტალი		53,767	51,921
გრძელვადიანი ვალდებულებები			
იჯარები	12	264	818
მიღებული სესხები	13	30,369	32,198
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		30,633	33,016
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	9,245	6,391
მიღებული ავანსები		210	2,857
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	15	2,786	4,969
გადასახდელი პროცენტი	17	1,513	916
მოკლევადიანი სესხები	16	10,048	2,279
სულ მიმდინარე ვალდებულებები		23,802	17,411
სულ ვალდებულებები		54,435	50,427
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		108,202	102,348

ხელმოწერილი პირი:

აღმასრულებელი დირექტორი

28 მარტი 2024

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 10-30 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-5.



სს “არგო”

სრული შემოსავლის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ლარში '000

	შენიშვნა	2023	2022
შემოსავალი	18	42,086	41,134
გაყიდული საქონლის ღირებულება	19	(20,667)	(19,911)
საერთო მოგება		21,419	21,223
რეალიზაციის ღირებულება	20	(6,510)	(6,737)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	21	(4,892)	(5,693)
ამორტიზაცია და ცვეთა		(7,487)	(6,159)
სხვა საოპერაციო ხარჯები		-	(1)
საოპერაციო ხარჯები		(18,889)	(18,590)
საოპერაციო მოგება		2,530	2633
ფინანსური ხარჯი	22	(4,801)	(3,978)
წმინდა მოგება/ზარალი საკუთროს სხვაობიდან		(433)	4,844
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები		(67)	37
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	23	(2,525)	(3,063)
არასაოპერაციო ხარჯები		(7,826)	(2,160)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		(5,296)	473
მოგების გადასახადის ხარჯი			
წმინდა მოგება		(5,296)	473

ხელმოწერი პირი:

ადმინისტრაციული დირექტორი

28 მარტი 2024
თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 10-30 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-5.

სს "არგო"

სრული შემოსავლის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ლარში '000

	შენიშვნა	2023	2022
შემოსავალი	18	42,086	41,134
გაყიდული საქონლის ღირებულება	19	(20,667)	(19,911)
საერთო მოგება		21,419	21,223
რეალიზაციის ღირებულება	20	(6,510)	(6,737)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	21	(4,892)	(5,693)
ამორტიზაცია და ცვეთა		(7,487)	(6,159)
სხვა საოპერაციო ხარჯები		-	(1)
საოპერაციო ხარჯები		(18,889)	(18,590)
საოპერაციო მოგება		2,530	2633
ფინანსური ხარჯი	22	(4,801)	(3,978)
წმინდა მოგება/ზარალი საკუთროს სხვაობიდან		(433)	4,844
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები		(67)	37
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	23	(2,525)	(3,063)
არასაოპერაციო ხარჯები		(7,826)	(2,160)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		(5,296)	473
მოგების გადასახადის ხარჯი			
წმინდა მოგება		(5,296)	473

ხელმოწერი პირი:

აღმასრულებელი დირექტორი



28 მარტი 2024
თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 10-30 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-5.

სს „არგო“

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ლარში '000

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მოგება ბიზნესის შესყიდვიდან	სხვა რეზერვები და დაფინანსება	მთლიანი კაპიტალი
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისათვის	39,126	(12,910)	28,323	-	54,539
პერიოდის შედეგი	-	473	-	-	473
კაპიტალის ზრდა	-	-	(3,090)	-	(3,090)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისათვის	39,126	(12,437)	25,233	-	51,922
პერიოდის შედეგი	-	(5,296)	-	-	(5,296)
კაპიტალის ზრდა	-	-	(4,621)	-	(4,621)
ცვლილებები რეზერვებში	-	-	-	11,762	11,762
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრისათვის	39,126	(17,733)	20,612	11,762	53,767

ხელმოწერი პირი:

აღმასრულებელი დირექტორი

28 მარტი 2024

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 10-30 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-5.

სს „არგო“

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ლარში '000

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მოგება ბიზნესის შესყიდვიდან	სხვა რეზერვები და დაფინანსება	მთლიანი კაპიტალი
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისათვის	39,126	(12,910)	28,323	-	54,539
პერიოდის შედეგი	-	473	-	-	473
კაპიტალის ზრდა	-	-	(3,090)	-	(3,090)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისათვის	39,126	(12,437)	25,233	-	51,922
პერიოდის შედეგი	-	(5,296)	-	-	(5,296)
კაპიტალის ზრდა	-	-	(4,621)	-	(4,621)
ცვლილებები რეზერვებში	-	-	-	11,762	11,762
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრისათვის	39,126	(17,733)	20,612	11,762	53,768

ხელმოწერი პირი:

3.43
აღმასრულებელი დირექტორი



28 მარტი 2024

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 10-30 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-5.

სს „არგო“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერი
თანხები მოცემულია ლარში '000

	2023	2022
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება დაბეგვრამდე	(5,295)	473
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	7,487	6,159
ფინანსური დანახარჯები	4,801	3,978
საკურსო სხვაობის ხარჯი	433	(4,844)
სხვა არაფულადი ოპერაციები	-	(7)
საოპერაციო ფულადი ნაკადები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე	7,426	5,759
(ზრდა)/შემცირება სასაქონლო მატერიალურ მარაგებში	(362)	1,949
(ზრდა)/შემცირება სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებაში	892	(1,907)
ზრდა/(შემცირება) სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	2,853	2,235
ზრდა/(შემცირება) სხვა მიმდინარე ვალდებულებებში	(4,828)	(5,353)
ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში	(1,445)	(3,076)
გადახდილი პროცენტი	(4,160)	(3,592)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	1,821	(909)
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ცვლილებები ძირითად საშუალებებში	(4,197)	(4,296)
ცვლილებები არამატერიალურ აქტივებში	697	(2,460)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	(3,500)	(6,756)
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხის მიღება	9,910	20,493
სესხის გადახდა	(7,660)	(12,436)
სხვა გრძელვადიანი ვალდებულების დაფარვა	(554)	(1,023)
კაპიტალის ზრდა	-	-
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	1,696	7,034
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის დასაწყისში	358	989
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის ბოლოს	375	358

ხელმოწერილი პირი:

აღმასრულებელი დირექტორი

28 მარტი 2024
თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 10-30 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-5.

სს "არგო"

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერი
თანხები მოცემულია ლარში '000

	2023	2022
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება დაბეგვრამდე	(5,295)	473
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	7,487	6,159
ფინანსური დანახარჯები	4,801	3,978
საკუროს სხვაობის ხარჯი	433	(4,844)
სხვა არაფულადი ოპერაციები	-	(7)
საოპერაციო ფულადი ნაკადები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე	7,426	5,759
(ზრდა)/შემცირება სასაქონლო მატერიალურ მარაგებში	(362)	1,949
(ზრდა)/შემცირება სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებებში	892	(1,907)
ზრდა/(შემცირება) სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	2,853	2,235
ზრდა/(შემცირება) სხვა მიმდინარე ვალდებულებებში	(4,828)	(5,353)
ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში	(1,445)	(3,076)
გადახდილი პროცენტი	(4,160)	(3,592)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	1,821	(909)
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ცვლილებები ძირითად საშუალებებში	(4,197)	(4,296)
ცვლილებები არამატერიალურ აქტივებში	697	(2,460)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	(3,500)	(6,756)
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხის მიღება	9,910	20,493
სესხის გადახდა	(7,660)	(12,436)
სხვა გრძელვადიანი ვალდებულების დაფარვა	(554)	(1,023)
კაპიტალის ზრდა	-	-
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	1,696	7,034
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის დასაწყისში	358	989
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის ბოლოს	375	358

ხელმოწერილი პირი:

3.503
აღმასრულებელი დირექტორი

28 მარტი 2024
თბილისი, საქართველო



შენიშვნები გვერდებზე 10-30 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-5.

1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

სს „არგო“ („კომპანია“, ს/ნ 400194222) დაფუძნდა 2017 წლის 21 იანვარს. აღნიშნული თარიღის მდგომარეობით აქციები განაწილებულია ორ აქციონერს შორის; ვასილ სულხანიშვილი ფლობს აქციების 85% და სს „კოკა კოლა ბოთლერს ჯორჯია“ ფლობს 15%. კომპანიის დირექტორია ვასილ სულხანიშვილი. კომპანიის ბიზნეს და იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, სამგორის რაიონი, ლილო, ლოჭინის ხევი, (ნაკვ. 05/001) .

2017 წლის 15 მარტს, კომპანია სს „არგომ“ "კასტელ-ჯორჯიასგან " შეიძინა ქარხანა და მასთან დაკავშირებული აღჭურვილობა 10,249 ათასი აშშ დოლარად. ქონება შეფასდა Colliers Georgia– ს მიერ შეძენამდე 15,500 ათასი დოლარის ოდენობით, დღგ-ს გარეშე.

2019 წლის ივლისში სს „არგომ“ წარმატებით დაასრულა მოლაპარაკებები მსხვილ ჰოლანდიურ ინვესტორთან – ბავარია ოვერსიზ ბრიუვერის (Bavaria Overseas Breweries (B.O.B.) III B.V.), რომელმაც გამოთქვა სურვილი საქართველოში და კერძოდ არგოში ინვესტიციის ჩადებაზე. აღნიშნული გარიგების მიზნებისათვის სს „არგომ“ მოახდინა ახალი აქციების ემისია და ემიტირებული ჩვეულებრივი აქციების რაოდენობა გაიზარდა 100-დან 10,000 ცალ ჩვეულებრივ აქციაზე. აღნიშნულის შემდეგ კომპანიის 40% წილი (4,000 ცალი ჩვეულებრივი აქცია) შეიძინა ინვესტორმა. მცირე ნაწილი უშუალოდ აქციონერისგან, ხოლო დარჩენილი ნაწილი თვითონ კომპანიისგან. გარიგების ჯამური საფასური შეადგენდა 24 მლნ. ლარს, საიდანაც 14 მლნ. ლარის ჩარიცხვა განხორციელდა 2019 წელს, ხოლო დარჩენილი 10 მლნ. ლარი ჩაირიცხა კომპანიის ანგარიშზე 2021 წლის განმავლობაში, ინვესტორთან შეთანხმებული საბოლოო პირობების თანახმად. აღნიშნული გარიგების შედეგად სს „არგოს“ აქციონერების საბოლოოდ შეთანხმებული სტრუქტურა ჩამოყალიბდა შემდეგნაირად:

- 40.0040% (4000 აქცია) - ბავარია ოვერსიზ ბრიუვერის (Bavaria Overseas Breweries (B.O.B.) III B.V.).
- 50.9951% (5099 აქცია) - ვასილი სულხანიშვილი.
- 9.0009% (900 აქცია) - კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია.

საოპერაციო გარემო

სს „არგო“ – ს ძირითადი საქმიანობაა ლუდის, სელცერისა და უალკოჰოლო სასმელების, კონკრეტულად ლიმონათის და ენერგეტიკული სასმელების წარმოება.

კომპანია ფლობს შემდეგ ბრენდებს:

- ლუდი "ჰოლანდია" - წარმოებისა და რეალიზაციის ლიცენზია – "ყოველი დღე აღსანიშნავია ჰოლანდიასთან ერთად"
- ლუდი "კიონიგ პილსნერი" - წარმოებისა და რეალიზაციის ლიცენზია, ამოღებული 2021 წელს – "გერმანული სამეფო ლუდი"
- ლუდი "ჰერცოგი" - ერთპიროვნული ლიდერი ქართულ ბაზარზე, ბაზრის ლიდერი ჩამოსასხმელი ლუდის სეგმენტში - "ნამდვილად ცოცხალი, #1 ჩამოსასხმელი ლუდი საქართველოში"
- ლუდი "არგო ლაგერი" - ყველაზე ცნობადი ბრენდი საქართველოში დიდი ხნის ტრადიციით – „ყოველთვის თანამედროვე, ტრენდული, ქართული ლუდის ბაზრის ფლაგმანი ბრენდი“
- ლუდი "არგო თეთრი" - "ყოველთვის თანამედროვე ლუდი მსუბუქი ტექსტურითა და ნათელი ოქროსფერი შეფერილობით"
- ლუდი "არგო შავი" - "ყოველთვის თანამედროვე, არომატული მუქი ლუდი ნამდვილი გურმანებისთვის"

- ლუდი "გერმანული" – "მაღალი ხარისხის სახალხო ლუდი, ხელმისაწვდომ საფასო კატეგორიაში"
- ლუდი "ალუდა წითელი ეილი" – "ქართული მთის ლუდი, მკვეთარ გამოხატული არომატის, ბრიტანული წითელი ეილის ტიპის ლუდი"
- ლუდი "ალუდა ოქროს ეილი" – "ქართული მთის ლუდი, დაბალანსებული არომატის, ბრიტანული ოქროს ეილის ტიპის ლუდი"
- ლუდი "ალუდა თეთრი ეილი" – "ქართული მთის ლუდი, მსუბუქი არომატის, ბრიტანული თეთრი ეილის ტიპის ლუდი"
- ლიმონათი "ზანდუკელი" - "ყველა სუფრის მასპინძელი"
- ენერგეტიკული სასმელი "ამპერი" – "ენერგეტიკული სასმელის ენერგია და ძალა"
- სელცერი "არგო მაგარი სელცერი" – "სხვაგვარი, ახალი, ჯანსაღი ალკოჰოლური სასმელი"

გარდა ამისა, 2021 წელს კომპანიამ დაიწყო „კერძო ეტიკეტის“ კონტრაქტის საფუძველზე სასმელების წარმოება.

კომპანია ასევე აწარმოებს ყველა ტიპის პროდუქტის ექსპორტს. 2021 წელს კომპანიამ გააორმაგა საექსპორტო გაყიდვები. ძირითადი საექსპორტო პარტნიორები არიან რუსეთი, აზერბაიჯანი, აშშ, თურქეთი, პოლონეთი, ლატვია, ჩინეთი, გერმანია, შვედეთი, უკრაინა და ა.შ.

კომპანია ოპერირებს საქართველოში. შესაბამისად, კომპანია დამოკიდებულია საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზრებზე, რომელთაც თან ახლავს განვითარებადი ბაზრის მახასიათებლები. იურიდიული, საგადასახადო და მარეგულირებელი კანონმდებლობა იხვეწება და ექვემდებარება სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას და ხშირ ცვლილებას, რაც სხვა იურიდიულ და ფისკალურ წინააღმდეგობებთან ერთად ხელს უწყობს საქართველოში მოქმედი პირების წინაშე არსებულ გამოწვევებს. ფინანსური ანგარიშგებები ასახავს მენეჯმენტის შეფასებას კომპანიის ბიზნეს გარემოს გავლენის შესახებ კომპანიის ოპერაციებზე და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს მენეჯმენტის მოლოდინებისაგან.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31-დეკ-2023	31-დეკ-2022
1 USD/GEL	2.6994	2.7020
1 EUR/GEL	2.9753	2.8844

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

შესაბამისობის პრინციპი

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპით და ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძალაში მყოფი საერთაშორისო სააღრიცხვო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული სტანდარტების და ინტერპრეტაციების შესაბამისად. ეს არ არის კომპანიის მიერ პირველად მომზადებული ფინანსური ანგარიშგებები.

ფინანსური ანგარიშგება შედგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემოსავლის ანგარიშგების, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, კაპიტალის ცვლილებების, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისა და განმარტებითი შენიშვნებისგან. ასევე მოიცავს შესადარებელ ინფორმაციას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

შეფასების საფუძველი

შეფასების საფუძვლად გამოყენებულია ისტორიული ღირებულების საფუძველი. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკით სხვაგვარად არის განსაზღვრული.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა მოამზადა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, დადებითი ფულადი სახსრების მოძრაობა, კომპანიის ოპერაციების მომგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშის პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

ფინანსური ინსტრუმენტები - ძირითადი შეფასების პირობები

კლასიფიკაციის გათვალისწინებით, როგორც ეს ქვემოთ არის აღწერილი, ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება რეალური ან ამორტიზებული ღირებულებით.

რეალური ღირებულება არის ის თანხა, რა თანხადაც შესაძლოა აქტივის გადაცვლა/რეალიზება ან ვალდებულების გადახდა, ნებაყოფლობით თანაბარი ინფორმაციის მქონე ორ მხარეს შორის გაშლილი ხელის მანძილის პირობებში. რეალური ღირებულება არის ფინანსური აქტივების მიმდინარე შეთავაზების ფასი და მოქმედ ბაზარზე მოვაჭრე ფინანსური ვალდებულებების მიმდინარე მოთხოვნილი ფასი. იმ აქტივებისთვის და ვალდებულებებისთვის, რომლებიც აბათილებენ ერთმანეთის საბაზრო რისკს, კომპანიას შეუძლია გამოიყენოს საშუალო საბაზრო ფასი რისკის პოზიციის გაქვითვისათვის რეალური ღირებულებების განსაზღვრისას და მიუსადაგოს შეთავაზების ან მოთხოვნის ფასი სუფთა ღია პოზიციას. ფინანსური ინსტრუმენტები აღებულია საბაზრო ფასად, როგორც ის შეფასებულია მოქმედ ბაზარზე, თუკი მოცემული ფასები რეგულარულად ხელმისაწვდომია გადაცვლის ან სხვა დაწესებულებისგან და აღნიშნული ფასები წარმოადგენს რეალურ და რეგულარულად დამოუკიდებელ მხარეებს შორის განხორციელებულ საბაზრო ტრანზაქციების ღირებულებას.

იმ ფინანსური აქტივების რეალური ღირებულების შესაფასებლად, რომლისთვისაც არ არსებობს ინფორმაცია გარე საბაზრო ფასების შესახებ გამოიყენება სხვადასხვა შეფასების მეთოდები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელი, ან მოდელები დაფუძნებული ბოლო პერიოდში დამოუკიდებელ მხარეებს შორის განხორციელებულ ტრანზაქციებზე, ან ინვესტორების ფინანსური მონაცემების გათვალისწინება. შეფასების მეთოდები შეიძლება საჭიროებდეს დაშვებებს, რომელიც დაკვირვებადი ბაზრის ინფორმაციით არ დასტურდება. შენიშვნები კეთდება მსგავსი განსაკუთრებული მიზნის მქონე ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ, იმ შემთხვევაში თუ მსგავსი დაშვების შეცვლა უფრო გონივრულად დასაშვები ალტერნატივით გამოიწვევს მნიშვნელოვან სხვაობას მოგებაში, შემოსავალში, მთლიან აქტივებში ან მთლიან ვალდებულებებში.

ტრანზაქციის დანახარჯები არის ფინანსური ინსტრუმენტის შემენაზე, გამოშვებაზე ან რეალიზაციაზე პირდაპირ მიკუთვნებადი ნამატი ხარჯები. ნამატი ხარჯი არის დანახარჯი, რომელზეც არ გაიწეოდა ტრანზაქცია, რომ არ მომხდარიყო. ტრანზაქციის ხარჯები შეიცავს შუამავლისთვის (გაყიდვების შუამავლად დასაქმებული თანაშრომლის ჩათვლით), მრჩევლის, ბროკერისა და დილერისათვის გადახდილ მოსაკრებელს და საკომისიოს, მარეგულირებელი სააგენტოების და ფასიანი ქაღალდების გაცვლის გადასახადს, სატრანსფერო გადასახადს. ტრანზაქციის ხარჯი არ შეიცავს ვალდებულების პრემიუმს ან ფასდაკლებას, ფინანსირების ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ თუ ფლობის ხარჯს.

ამორტიზებული ღირებულება არის სხვაობა ფინანსური ინსტრუმენტის პირველად აღიარების თანხასა და ძირის გადახდას შორის, დამატებული დარიცხული პროცენტი და ფინანსური აქტივის შემთხვევაში ასევე გამოკლებული გაუფასურების დანაკარგის ჩამოწერა. დარიცხული პროცენტი შეიცავს პირველადი აღიარებისას განსაზღვრული ტრანზაქციის ღირებულებისა და სარგებლიანობის ვადის ამოწურვისათვის განსაზღვრული ნებისმიერი პრემიუმის ან ფასდაკლების თანხის ამორტიზაციას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი, დარიცხული კუპონი და ამორტიზებული პრემიუმის ან ფასდაკლების ჩათვლით (წარმოქმნისას მომხდარი გადასახადების ჩათვლით), ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი განცალკევებით და შედის დაკავშირებული პუნქტების მიმდინარე ღირებულებაში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილების მეთოდი მიმდინარე ღირებულებაზე პერიოდის მუდმივი საპროცენტო განაკვეთის (ეფექტური საპროცენტო განაკვეთის) მისაღებად. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, არის განაკვეთი, რომელიც ფინანსური ინსტრუმენტის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში განსაზღვრული მომავალი ფულადი ნაკადების მთლიანად ადისკონტირებს ფინანსური ინსტრუმენტის მიმდინარე სუფთა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ახდენს სხვადასხვა საპროცენტო ინსტრუმენტების შემდეგ პროცენტის გადაფასების თარიღამდე დისკონტირებას, გარდა პრემიუმის ან ფასდაკლებისა, რომელიც ასახავს საკრედიტო სპრედს კონკრეტული ფინანსური ინსტრუმენტის მცურავ კურსზე და სხვა ცვლადებზე, რომელიც არ სწორდება საბაზრო განაკვეთით. მსგავსი პრემიუმის და ფასდაკლების ამორტიზება ხდება ინსტრუმენტის მთელი სასიცოცხლო ვადის განმავლობაში. მიმდინარე ღირებულების გამოთვლა გულისხმობს კონტრაქტის მხარეებს შორის გადახდილ ან მიღებულ ყველა გადასახადებს, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილია.

ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია

კომპანიის ყველა ფინანსური აქტივი მიეკუთვნება სესხებისა და დებიტორული დავალიანების განსაზღვრის კატეგორიას. სესხები და მოთხოვნები/დებიტორული დავალიანებები არის არადერივატიული ფინანსური აქტივები ფიქსირებული და განსაზღვრული გადახდებით, რომელიც მოქმედ ბაზარზე არ არის გაყიდვადი. აღნიშნული ფინანსური აქტივები ბალანსის თარიღიდან 12 თვეზე ნაკლებ პერიოდში დაფარვის ვადით, შედის მიმდინარე აქტივებში, ხოლო 12 თვის ზემოთ - გრძელვადიან აქტივებში. კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება კლასიფიცირებულია როგორც სხვა ფინანსური ვალდებულებები და აისახება ამორტიზებული ღირებულებით.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება

ყველა ფინანსური აქტივი და ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება სამართლიან ღირებულებას დამატებული ტრანზაქციის დანახარჯები. თავდაპირველი აღიარებისას სამართლიან ღირებულებას ყველაზე კარგად ასახავს ტრანზაქციის ფასი. სარგებელი ან დანაკარგი თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ მაშინ თუ არსებობს სხვაობა სამართლიან ღირებულებასა და ტრანზაქციის ფასს შორის, რომელიც შეიძლება გამოიკვეთოს მსგავს ინსტრუმენტებზე სხვა მიმდინარე საბაზრო ტრანზაქციებზე დაკვირვებით, ან შეფასების მეთოდით, რომლის შემავალი მონაცემები შეიცავს მხოლოდ ინფორმაციას დაკვირვებადი ბაზრებიდან.

ფინანსური აქტივის ყველა შესყიდვა, ან რეალიზაცია, რომელიც მოითხოვს აქტივის გარკვეული დროის საზღვრებში მიწოდებას. დაწესებული რეგულაციით, თუ ბაზრის პირობებით (ვაჭრობის მიღებული წესი) აღიარდება რეალიზაციის/შესყიდვის თარიღით, კერძოდ თარიღით, როცა კომპანია აიღებს ვალდებულებას შეიძინოს, ან გაყიდოს აქტივი. ყველა სხვა შესყიდვა აღიარდება იმ თარიღით როდესაც პირი გახდება ინსტრუმენტის ხელშეკრულების ვალდებულების მხარე.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც ა) მოხდება აქტივის გამოსყიდვა, ან აქტივისგან მისაღები ფულადი ნაკადები სხვა მიზეზით ამოიწურება; ბ) კომპანიამ გადასცა აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების უფლება ან შევიდა შუამავლის გარიგებაში, როდესაც 1) ასევე გადასცემს აქტივის ფლობის სარგებლის და რისკების მნიშვნელოვან წილს, ან 2) არც გადასცემს, მაგრამ არც იტოვებს სარგებლის და რისკების მნიშვნელოვან რისკებს, მაგრამ ასევე უარს ამბობს კონტროლზე. კონტროლი ნარჩუნდება, იმ შემთხვევაში თუ მეორე მხარეს არ აქვს უფლება მთლიანი აქტივის მესამე პირზე რეალიზაციის, რეალიზაციაზე გარკვეული შეზღუდვების დაწესების გარეშე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივის გაუფასურება

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივის გაუფასურება ხდება, მისი თავდაპირველი აღიარების შემდგომ პერიოდში მომხდარი ერთი ან რამდენიმე მოვლენით („დანაკარგის მოვლენები“), რომელსაც გავლენა აქვს ფინანსური აქტივის ან ფინანსური აქტივების ჯგუფისგან მისაღები მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობაზე ან ვადებზე და შეიძლება ამის საიმედოდ განსაზღვრა, გამოწვეული გაუფასურების დანაკარგები აღიარდება მოგება-ზარალზე მათი მოხდენის პერიოდში. თუ კომპანია დაასკვნის, რომ არ არსებობს ინდივიდუალურად შეფასებული ფინანსური აქტივის გაუფასურების მოხდენის ობიექტური მტკიცებულება, იქნება ეს მნიშვნელოვანი თუ არა, იგი შეიყვანს აღნიშნულ ფინანსურ აქტივს მსგავსი საკრედიტო რისკის მქონე აქტივების ჯგუფში და მოახდენს მათ ჯგუფურ ტესტირებას გაუფასურებაზე. ფინანსური აქტივის გაუფასურების შესამოწმებლად კომპანიის მიერ ძირითადად გამოყენებული ფაქტორები არის მისი ვადაგადაცილებულობის სტატუსი და მისი შესაბამისი უზრუნველყოფის, ასეთის არსებობის შემთხვევაში სანდოობა. ფინანსური აქტივის გაუფასურების შემოწმების სხვა ძირითადი კრიტერიუმს წარმოადგენს:

- დავალიანების გარკვეული ნაწილი ვადაგადაცილებულია და ვადაგადაცილება არ არის გამოწვეული გადახდის სისტემის დაყოვნებით. მეორე მხარე განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეს, როგორც ეს ჩანს კომპანიის მიერ მოპოვებული ფინანსური ინფორმაციით;
- მეორე მხარე განიხილავს გაკოტრების ან ფინანსური რეორგანიზაციის ვარიანტს;
- სახეზეა მეორე მხარის მიერ გადახდების სტატუსის მნიშვნელოვანი გაუარესება ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებების შედეგად, რომელსაც გავლენა აქვს მეორე მხარეზე ან;

- უზრუნველყოფის ღირებულება მნიშვნელოვნად მცირდება ბაზრის პირობების მნიშვნელოვანი გაუარესების შედეგად.

თუკი მოხდა ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული გაუფასურებული ფინანსური აქტივის პირობების გადახედვა ან სხვაგვარად მოდიფიკაცია მეორე მხარის ფინანსური სირთულეების გამო, გაუფასურება გამოითვლება პირობების ცვლილებამდე არსებული თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

გაუფასურების დანაკარგი ყოველთვის აღიარდება სარეზერვო ანგარიშზე აქტივის საბალანსო ღირებულების მოსალოდნელი ფულადი ნაკადების (რომელიც არ შეიცავს მომავალ საკრედიტო დანაკარგებს, რომელიც ჯერ არ მომხდარა) აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებულ ღირებულებამდე ჩამოსაწერად. უზრუნველყოფილი ფინანსური აქტივის მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულების გამოთვლა მოიცავს უზრუნველყოფილი აქტივისგან მოსალოდნელ ფულად ნაკადებს, გამოკლებული მისი მიღების და რეალიზაციის დანახარჯები, იმის მიუხედავად არის თუ არა უზრუნველყოფილი აქტივის მოსალოდნელი რეალიზაცია.

თუკი შემდგომ პერიოდში მოხდება გაუფასურების ზარალის შემცირება და ეს შემცირება შეიძლება საიმედოდ მიეკუთვნოს გაუფასურების ზარალის აღიარების შემდგომი პერიოდის მოვლენას (როგორცაა დებიტორის საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესება), მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალის გაუქმება მოხდება სარეზერვო ანგარიშის დაკორექტირებით წლის მოგება-ზარალზე.

უიმედო აქტივები ჩამოიწერება შესაბამის გაუფასურების დანაკარგის რეზერვის ანგარიშზე აქტივის აღდგენისათვის ყველა საჭირო პროცედურის დასრულების და დანაკარგის მოცულობის განსაზღვრის შემდეგ. წინა პერიოდში ჩამოწერილი თანხების შემდგომი აღდგენა დაკრედიტდება გაუფასურების დანაკარგის ანგარიშზე წლის მოგება-ზარალზე.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი მოვლენები.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულებით. ძირ. საშუალების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შეყიდვის ან მშენებლობის ფასს.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშნები. თუ გაუფასურებას ჰქონდა ადგილი, ხდება ძირითადი საშუალებების ჩამოფასება უმაღლესი თანხით შემდეგ ორს შორის: გამოყენების ღირებულება და სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯები. საბალანსო ღირებულების შემცირება აისახება მოგება-ზარალზე. წინა პერიოდში აღიარებული აქტივის გაუფასურების დანაკარგი გაიქვითება, თუკი მოხდება აქტივის გამოყენების ღირებულების ან სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის დანახარჯების ღირებულების გამოსათვლელად საჭირო დაშვებების ცვლილება.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

ცვეთა

ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით რაც გულისხმობს აქტივების ღირებულება განაწილდეს მათი გემგური საექსპლუატაციო ვადის ზემოთ ნარჩენი ღირებულების გამოკლებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). შემდეგი საექსპლუატაციო ვადები გამოიყენება ავეჯისა და სხვა ინვენტარის ცვეთისათვის:

	სიცოცხლის ხანგრძლივობა (წელი)
შენობა-ნაგებობა	20-60
მანქანა-დანადგარები	15-40
სატრანსპორტო საშუალებები	15
ოფისის აღჭურვილობა	4-10
სხვა	2-5

ძირითადი საშუალებები ამოღებულია ჩანაწერებიდან, როდესაც ის გაიყიდება ან როდესაც მას აღარ შეუძლია რაიმე სამომავლო სარგებელის მოტანა. ნებისმიერი მოგება ან ზარალი ამ ამოღებიდან (გამოითვლება, როგორც სხვაობა გაყიდვიდან მიღებულსა და აქტივის ღირებულებას შორის) აღირიცხება იმ წლის მოგების ანგარიშგებაში.

არამატერიალური აქტივები

შეძენილი არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო გამოყენების ვადისა და ამორტიზაციის წრფივი მეთოდის გადახედვა. არამატერიალური აქტივებისთვის განუსაზღვრელი სასიცოცხლო ვადით, ტარდება გაუფასურების ტესტი წლიურად. არამატერიალურ აქტივებზე ამორტიზაციის დარიცხვა იწყება იმ თარიღიდან, როცა იწყება აქტივის გამოიყენება.

შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები კაპიტალიზდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ის აფართოებს ეკონომიკურ სარგებელს შესაბამისი აქტივის. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის არამატერიალური აქტივების მიმართ ხარჯები აღიარდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში შესაბამისად.

ცვეთა აღიარდება მოგება-ზარალში წრფივი მეთოდით აქტივის თითოეული ნაწილის სასარგებლო გამოყენების ვადის განმავლობაში გუდვილის გარდა, იმ დღიდან, როდესაც ისინი ხელმისაწვდომი იქნება გამოსაყენებლად.

მიმდინარე და შედარებითი პერიოდების სასარგებლო მოხმარების ვადები:

პროგრამული უზრუნველყოფა	10-15 წელი
სავაჭრო ნიშნები და რეკლამის დიზაინები	10-15 წელი
ლიცენზიები და დათმობები	3-5 წელი

ამორტიზაციის მეთოდები, სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულებები განხილულია ყოველი ფინანსური წლის ბოლოს და საჭიროების შემთხვევაში კორექტირებულია.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ ხდება მათი შეფასება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს საფუძველი, რომ კომპანია ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას.

გაუფასურების რეზერვის თანხა არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული მისი მომავალი ფულადი ნაკადების ახლანდელ ღირებულებას შორის. აქტივის მიმდინარე ღირებულება მცირდება რეზერვის ანგარიშის მეშვეობით, და ზარალის თანხა აღიარდება მოგება-ზარალის უწყისში. როდესაც სავაჭრო მოთხოვნების მიღება შეუძლებელია, ის ჩამოიწერება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. შემდგომი აღდგენები დარეზერვებული მოთხოვნებიდან კრედიტდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო მოთხოვნები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წელამდე პერიოდში, თუ არა, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად კომპანიის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია საბალანსო ანგარიშგების თარიღიდან ერთ წელამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისას ფასდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

მოგების გადასახადი

მიმდინარე მოგების გადასახადი არის გადასახადი, რომლითაც იბეგრება წლის შემოსავალი, იმ წლის საგადასახადო განაკვეთის შესაბამისად, რა დროსაც შედგენილია ანგარიშგება.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კომპანიების დაბეგვრის არსებული მოდელის ცვლილება, რომელიც ყველა პირისათვის, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა,

სს „არგო“

შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2023 წლის 31 დეკემბერი

თანხები მოცემულია ლარში '000

(როგორცაა ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები) ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვარს. ახალი მოდელი ითვალისწინებს გაუნაწილებელი მოგების დაბეგვრას 0%-იანი განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგების დაბეგვრას 15%-იანი მოგების გადასახადით (დღეს მოქმედი მოდელით კომპანიის მოგებას გადასახადამდე 15%-იანი გადასახადი ერიცხება იმის მიუხედავად, იგი კომპანიაში რჩება თუ დივიდენდების სახით გაიშვება). საქართველოს საგადასახადო კოდექსში ბოლო ცვლილებების თანახმად, ფინანსური ინსტიტუტების გადასვლა ახალ საგადასახადო კანონმდებლობაზე 2019 წლის 1 იანვრის ნაცვლად 2023 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდება.

კორპორატიული საშემოსავლო გადასახადის ახალი სისტემა არ გულისხმობს გათავისუფლებას კორპორატიული საშემოსავლო გადასახადისგან (CIT), არამედ დაბეგვრა გადადის მოგების მიღებიდან მისი განაწილებამდე. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განმარტავს განაწილებულ მოგებას, როგორც მოგებას, რომელიც საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით, ფულადი ან არაფულადი ფორმით ნაწილდება. თუმცა, ზოგიერთი სხვა ტრანზაქციები ასევე ითვლება განაწილებულ მოგებად. მაგალითად, არაკომერციული საფუძვლით განხორციელებული ტრანსსასაზღვრო ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და/ან გადასახადებისგან გათავისუფლებულ პირებთან ასევე მიიჩნევა განაწილებულ მოგებად მოგების გადასახადის მიზნებისთვის. ამასთან, დაბეგვრის ობიექტი მოიცავს ხარჯებს ან სხვა გადახდებს, რომლებიც არ უკავშირდება საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობას, უსასყიდლო მიწოდებას და წარმომადგენლობითი ხარჯების ლიმიტს ზემოთ გაწეულ თანხებს

გადასახადის ანაზღაურება შესაძლებელია 2008-2016 წლებში გაუნაწილებელ მოგებაზე გადახდილი მიმდინარე გადასახადისთვის, თუ ეს შემოსავალი განაწილებულია 2019 წელს ან შემდგომ წლებში. მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგები წარმოებაში და მზა პროდუქციის ღირებულება მოიცავს ნედლეულს, პირდაპირ შრომას, სხვა პირდაპირ ხარჯებსა და სხვა დაკავშირებულ წარმოების ზედნადებ ხარჯებს.

მცირე ინვენტარი და ინსტრუმენტები იხარჯება ექსპლუატაციაში გამოყენებისას.

გუდვილი

გუდვილი ტარდება ნაკლებად გაუფასურებული აკუმულირებული დანაკარგებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. გუდვილი გამოყოფილია ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებზე ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ჯგუფებზე, რომლებიც სავარაუდოდ ისარგებლებენ საქმიანი კომბინაციის სინერგიით. ასეთი ერთეულები ან ერთეულების ჯგუფი წარმოადგენს ყველაზე დაბალ დონეს, რომლის დროსაც კომპანია აკონტროლებს გუდვილს და არ აღემატება ოპერაციულ სეგმენტს. ნაღდი ფულის გენერირების განმახორციელებელი ოპერაციის განკარგვისას მოგება ან ზარალი, რომლისთვისაც გუდვილი გამოყოფილია გარიგების საქსპლუატაციო ოპერაციასთან დაკავშირებული გუდვილის საბალანსო ღირებულებას, რომელიც ზოგადად განისაზღვრება განზრახ ოპერაციის შედარებით ღირებულებებზე და ნაღდი ფულის - შენახვის ერთეული, რომელიც შეინარჩუნა.

გუდვილის ნარჩენ ღირებულებაზე გავლენას ახდენს შესაძლო გაუფასურება. გუდვილი არის აქტივი, რომელიც წარმოადგენს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, რომელიც წარმოიქმნება ბიზნესების კომბინაციების შედეგად შემენილი აქტივებიდან, რომლებიც არ არიან ცალ-ცალკე

იდენტიფიცირებადი და აღიარებადი. ამგვარად, გუდვილის გაუფასურების შეფასება საჭიროებს დაშვებებს და ვარაუდებს, რომლებიც უკავშირდებიან კომპანიის სამომავლო ოპერაციებს და სხვა მოვლენებს უფრო ფართე ბიზნეს გარემოდან, რომელთა დიდი ნაწილი არ არის კომპანიის პირდაპირი კონტროლის ქვეშ.

შემოსავლის აღიარება

საქონლის გაყიდვიდან შემოსავალი და მომსახურებიდან ამონაგები აღიარდება იმ სააღრიცხვო პერიოდში, როდესაც მოხდა საქონლის საკუთრების უფლების გადაცემა და გაწეულ იქნა მომსახურება დაუყოვნებელი აღიარების მეთოდის გამოყენებით. გაყიდვები ნაჩვენებია დღ-სა და ფასდათმობის გარეშე.

კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისა და დაგროვილი მოგება/ზარალისგან.

საწესდებო კაპიტალის ინვესტირება აღიარდება ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირდება როგორც საწესდებო კაპიტალი. საწესდებო კაპიტალში ნებისმიერი ცვლილება ხდება კომპანიის ერთადერთი აქციონერის, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, რომელიც წარმოდგენილია რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ. საწესდებო კაპიტალში შეტანილი წვლილი შეიძლება იყოს ფულადი სახსრების ან არაფულადი აქტივების სახით. როდესაც არაფულადი აქტივები შედის კომპანიის კაპიტალში, ასეთი აქტივების ღირებულება განისაზღვრება დამოუკიდებელი, პროფესიონალი, კვალიფიციური შემფასებლების მიერ ჩატარებული შეფასებით და კაპიტალი იზრდება ამ შეფასებისას განსაზღვრული ოდენობით.

სასესხო ხარჯები

სასესხო ხარჯები, რომლებიც პირდაპირ კავშირშია გრძელვადიანი აქტივების შეძენასთან, მშენებლობასთან ან წარმოებასთან (რომლებსაც დიდი დრო სჭირდება გამოსაყენებლად ან გასაყიდად მზადყოფნას) ემატება ამ აქტივების ღირებულებას. ეს გრძელდება მანამ, სანამ აქტივი თითქმის მზად იქნება გამოსაყენებლად ან გასაყიდად. ნებისმიერი სხვა სესხის აღების ხარჯები აღირიცხება ხარჯებად იმ პერიოდში, როდესაც ისინი წარმოიქმნება.

შემოსავლები და ხარჯები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დარიცხვის მეთოდით, რაც გულისხმობს, რომ შემოსავლების აღიარება ხდება გამომუშავებული და არა უკვე დარიცხული ფულადი სახსრების მირებისას და ხარჯების აღიარება ხდება მათი წარმოქმნისას და არა გადახდისას.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შევებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესამაბისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე და მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებაზე მომავალ პერიოდში.

იჯარა

შესაბამისი სტანდარტი შემოაქვს აღიარების, შეფასების, წარდგენისა და ლიზინგის ასახვის პრინციპებს. ყველა იჯარა ავალდებულებს მოიჯარეს ისარგებლოს აქტივით სარგებლობის უფლებით. კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას, რომლებიც გავლენას ახდენენ მოგების, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე და მათ შესაბამის შენიშვნებსა და პირობით ვალდებულებებზე. ამ შეფასებებსა და დაშვებებში უზუსტობებმა შეიძლება გამოიწვიოს აქტივის საბალანსო ღირებულების არსებითი კორექტირება ან მომავალში გაუფასურება.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა

კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებს შორის

კომპანიის ბიზნესის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას კომპანია დებს გარიგებებს დაკავშირებულ მხარეებთან. IAS 39 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების საწყის აღიარებას, მათ სამართლიან ღირებულებაზე დაყრდნობით. გადაწყვეტილება გამოიყენება იმის დასადგენად, გარიგება შეფასებულია საბაზრო თუ არასაბაზრო ფასებით, როდესაც არ არის აქტიური ბაზარი ამგვარი გარიგებისათვის. გადაწყვეტილების საფუძველი არის მსგავსი ტიპის გარიგებების ფასდადება არადაკავშირებულ მხარეებთან.

მოთხოვნების გაუფასურება

მარაგების გაუფასურება

4. IASB-ს მიერ გამოცემული ახალი ან განახლებული სტანდარტები და განმარტებები

ახალი ან შესწორებული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება

კომპანიამ მიმდინარე წელს მიიღო ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოსა ("IASB") და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო საბჭოს ("IFRIC") მიერ გაცემული ყველა ახალი და გადახედილი სტანდარტი და ინტერპრეტაცია, რომლებიც შესაბამისობაშია მის ფუნქციონირებასთან და ძალაშია ყოველწლიური საანგარიშო პერიოდისთვის დაწყებული 2023 წლის 1 იანვრიდან.

ქვემოთ მოცემულ ინტერპრეტაციებს და ცვლილებებს, რომლებიც ძალაში შევიდა 2023 წლის 1 იანვრის შემდეგ გავლენა არ ჰქონია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ფასს 17 სადაზღვევო ხელშეკრულებები;
- ცვლილებები ბასს 8-ში - სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები - სააღრიცხვო შეფასების განმარტება
- ცვლილებები ბასს 1-ში და ფასს პრაქტიკის განმარტება 2 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა - სააღრიცხვო პოლიტიკის ასახვა განმარტებით შენიშვნებში;
- ცვლილებები ბასს 12-ში - მოგებიდან გადასახადები - ერთჯერადი გარიგებიდან წარმოქმნილ აქტივებსა და ვალდებულებებთან დაკავშირებული გადავადებული გადასახადი
- ცვლილებები ბასს 12-ში - მოგებიდან გადასახადები - გადავადებული აქტივებისა და ვალდებულებების დაბაგვერა მოგების გადასახადით პილარ 2 მიდგომით.

სტანდარტები, ცვლილებები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ შესულა ძალაში და რომლებიც ჯერ არ არის გამოყენებული კომპანიის მიერ

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისთვის გამოცემული იყო რიგი სტანდარტები, ცვლილებები და არსებული სტანდარტების ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოქვეყნებულ იქნა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ, მაგრამ ძალაში ჯერ არ შესულა და არც კომპანიას გამოუყენებია ვადაზე ადრე.

მენეჯმენტი ვარაუდობს, რომ ყველა შესაბამისი სტანდარტის და ცვლილების დანერგვა კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაში მოხდება იმ პირველივე პერიოდის განმავლობაში, რომელიც იწყება ახალი სტანდარტისა თუ ცვლილების ძალაში შესვლის გამოცხადებული თარიღიდან.

მენეჯმენტს მიაჩნია, რომ ქვემოთ მოცემული სტანდარტები და განახლებები არ იქონიებს მნიშვნელოვან გავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

- ცვლილებები ფასს 16-ში - იჯარა - საიჯარო ვალდებულება გაყიდვებში უკუიჯარის პირობებით;
- ცვლილებები ბასს 1-ში - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა - ვალდებულებების მოკლევადიან და გრძელვადიან ვალდებულებებად კლასიფიკაცია;
- ცვლილებები ბასს 1-ში - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა - გრძელვადიანი ვალდებულებების კლასიფიკაცია შეზღუდვებით/კოვენანტებით;
- ცვლილებები ბასს 7-ში ფულადი ნაკადების ანგარიშგება და ფასს 7-ში - ფინანსური ინსტრუმენტები - განმარტებითი შენიშვნები: მომწოდებლებთან არსებული ფინანსური შეთანხმებები;

ცვლილებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში - ინვესტორის მიერ აქტივების გაყიდვა ან კაპიტალში შეტანა მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოებში.

სს „არგო“

შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2023 წლის 31 დეკემბერი

თანხები მოცემულია ლარში '000

5. ძირითადი საშუალებები

	მიწა	დაუმონტაჟებული აღჭურვილობა	შენობა- ნაგებობები	აღჭურვილობა	საოფისე ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
ღირებულება								
ბალანსი 31.12.2022	13,810	2,452	15,190	42,260	884	2,897	3,147	80,640
შეძენა	11,868	517	271	2,091	54	349	759	15,909
გასვლა	-	-	-	(1)	-	-	-	(1)
ბალანსი 31.12.2023	25,678	2,969	15,461	44,350	938	3,246	3,906	96,548
ცვეთა								
ბალანსი 31.12.2022	-	-	698	5,861	219	553	585	7,916
ცვეთა	-	-	-	-	-	-	(2,407)	(2,407)
გასვლა	-	-	359	3,068	107	339	2,758	6,631
ბალანსი 31.12.2023	-	-	1,057	8,929	326	892	936	12,140
ბალანსი 31.12.2022	13,810	2,452	14,492	36,399	665	2,344	2,562	72,724
ბალანსი 31.12.2023	25,678	2,969	14,404	35,421	612	2,354	2,970	84,408

სს „არგო“

შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2023 წლის 31 დეკემბერი

თანხები მოცემულია ლარში '000

6. არამატერიალური აქტივები

	კომპიუტერული პროგრამა	კონცესიები	პატენტები	პროგრამული უზრუნველ ყოფა	სხვა არამატერი ალური აქტივები	სულ
ღირებულება						
ბალანსი 31.12.2022	674	344	960	327	8,519	10,823
შეძენა	83	4	81	65	2,335	2,566
გასვლა	-	-	-	-	-	-
ბალანსი 31.12.2023	756	347	1,041	392	10,854	13,389
ცვეთა						
ბალანსი 31.12.2022	8	194	102	72	2,603	2,979
ცვეთა	5	103	69	33	3,053	3,263
გასვლა	-	-	-	-	-	-
ბალანსი 31.12.2023	13	297	171	105	5,656	6,242
ბალანსი 31.12.2022	666	150	858	255	5,916	7,844
ბალანსი 31.12.2023	743	50	870	287	5,198	7,147

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო ვალდებულებები	31-დეკ-23	31-დეკ-22
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	3,334	5,882
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	-	2,562
გადახდილი ავანსები	313	728
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ანარიცხებამდე	3,647	9,172
ანარიცხები	-	-
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3647	9,172

სავაჭრო დებიტორული ვალდებულებები მოიცავს რამდენიმე ასეულ მაღაზიას, რომლებიც ყიდულობენ საქონელს კომპანიის დისტრიბუციისგან. მაღაზიები დავალიანებას იხდიან ერთი კვირის ან თვის ვადაში, ხელშეკრულების საფუძველზე.

სს „არგო“

შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2023 წლის 31 დეკემბერი

თანხები მოცემულია ლარში '000

8. წინასწარ გაწეული ხარჯები

წინასწარ გაწეული ხარჯები	31-დეკ-23	31-დეკ-22
წინასწარ გაწეული მარკეტინგული ხარჯი	620	621
სხვა წინასწარ გაწეული ხარჯები	1,421	1,414
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	20	7
სულ წინასწარ გაწეული ხარჯები	2,061	2,048

სხვა წინასწარგაწეული ხარჯები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რეკლამირებისა და სხვა წინასწარ გაწეული ხარჯების ჩათვლით.

9. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები	31-დეკ-23	31-დეკ-22
ნედლეული	6,325	6,118
საქონელი	2,526	2,273
მზა პროდუქცია	1,499	1,243
დაუმთავრებელი წარმოება	212	565
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგები	3	3
სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები	10,565	10,202

სასაქონლო-მატერიალური მარაგების ძირითად ნაწილს წარმოადგენს ნედლეული და დაუმთავრებელი წარმოება. ასევე არის გარკვეული სამუშაო პროცესი და მზა პროდუქტები. სხვა ინვენტარი ძირითადად შედგება მოწყობილობებისა და მცირე მასალებისგან, რომლებიც გამოიყენება წარმოებაში.

10. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები	31-დეკ-23	31-დეკ-22
ფული	54	91
ეროვნული ვალუტა ბანკში	57	2
უცხოური ვალუტა ბანკში	264	265
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	375	358

ნადდი ფულის ბალანსი შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს, როგორც ურისკო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას მიმდინარე ანგარიშები აქვს, არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები.

11. საწესდებო კაპიტალი

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის კაპიტალი მოიცავს ოთხ ნაწილს: საწესდებო კაპიტალი, რომლის ნომინალური ღირებულება 39,125 ათასი ლარია, ბიზნესის შეძენიდან მიღებული მოგება 17,553 ათასი ლარი, აქტივების გადაფასების რეზერვი 7,680 ათასი ლარი და 12,910 ათასი ლარის ოდენობის დაგროვილი ზარალი. 2022 წელს კომპანიამ მიიღო დამატებითი მოგება 473 ათასი ლარის ოდენობით, რაც ბალანსში წარმოდგენილია მიმდინარე პერიოდის მოგება/(ზარალი)-ს განყოფილებაში. 2022 წლის განმავლობაში კომპანიის საწესდებო კაპიტალი არ გაიზარდა. პერიოდის ბოლოს კომპანიის კაპიტალის წმინდა ღირებულება 51,921 ათასი ლარი იყო.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის კაპიტალი მოიცავს ოთხ ნაწილს: საწესდებო კაპიტალი, რომლის ნომინალური ღირებულებაა 39,125 ათასი ლარი, ბიზნესის შეძენის მოგება, 12,932 ათასი ლარი, აქტივების გადაფასების რეზერვი 19,443 ათასი ლარი და 12,437 ათასი ლარის ოდენობის დაგროვილი ზარალი. 2023 წელს კომპანიამ დამატებით იზარალა 5,296 ათასი ლარით, რაც წარმოდგენილია მიმდინარე პერიოდის მოგება/(ზარალი)-ს განყოფილებაში. 2023 წლის პერიოდში კომპანიის საწესდებო კაპიტალი არ გაზრდილა. წლის ბოლოს კომპანიის კაპიტალის წმინდა ღირებულება შეადგენდა 53,767 ათას ლარს.

12. გრძელვადიანი იჯარები

გრძელვადიანი იჯარები	31-დეკ-23	31-დეკ-22
შპს საქართველოს სალიზინგო კომპანია	-	367
ს.ს თი ბი სი ლიზინგი	264	451
სულ ვალდებულება ფინანსურ იჯარაზე	264	818

2023 წლის ბოლოს გრძელვადიანი იჯარები მოიცავს ოთხ კონტრაქტს, მათგან 2-ს სს „თი-ბი-სი ლიზინგთან“, 2-ს კი შპს „საქართველოს სალიზინგო კომპანიასთან“.

13. გრძელვადიანი სესხები

გრძელვადიანი სესხები	31-დეკ-23	31-დეკ-22
სესხი ადგილობრივი ფინანსური ინსტიტუტისგან	24,831	26,829
სესხი აქციონერისგან	5,538	5,369
სულ გრძელვადიანი სესხები	30,369	32,198

სს „არგო“

შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2023 წლის 31 დეკემბერი

თანხები მოცემულია ლარში '000

14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31-დეკ-23	31-დეკ-22
სავაჭრო ვალდებულებები	8,746	6,067
გადასახდელი ხელფასები	492	300
მიღებული ავანსები	210	2,857
სხვა ვალდებულებები	6	24
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9,454	9,248

სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში რეალურ ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის არ არის განსხვავება. ყველა მათგანი არის მიმდინარე და ვადაგადაცილება არ აღირიცხება კომპანიის უსწყისში.

15. სხვა მიმდინარე ვალდებულებები

საგადასახადო ვალდებულებები და წინასწარ გადახდილი გადასახადები	31-დეკ-23	31-დეკ-22
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება	(306)	(301)
სხვა საგადასახადო ვალდებულება	3,092	5,270
სულ საგადასახადო ვალდებულებები და წინასწარ გადახდილი გადასახადები	2,786	4,969

ცხრილში წინასწარ გადახდილი გადასახადები ნაჩვენებია როგორც უარყოფითი, ხოლო ვალდებულებებში დადებითი რიცხვით. ქართული საგადასახადო სისტემა საშუალებას იძლევა ნებისმიერი საგადასახადო ვალდებულება კომპესირდეს წინასწარ გადახდილი გადასახადით.

მთლიანი დარიცხული დავალიანება შეადგენს 2 786 ათას ლარს. დაკისრებული დავალიანების დაფარვა ხდება გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე გრაფიკის მიხედვით.

16. მოკლევადიანი სესხები

მოკლევადიანი სესხები	31-დეკ-23	31-დეკ-22
სესხი ადგილობრივი ფინანსური ინსტიტუტისგან	8,068	1,613
სესხი აქციონერისგან	1,980	666
სულ მოკლევადიანი სესხები	10,048	2,279

17. გრძელვადიანი სესხების მოკლევადიანი ნაწილი

გრძელვადიანი სესხების მოკლევადიანი ნაწილი	31-დეკ-23	31-დეკ-22
სესხი ადგილობრივი ფინანსური ინსტიტუტისგან	-	29
სესხი აქციონერისგან	1,513	886
მთლიანი გადასახდელი პროცენტი	1,513	915

18. შემოსავალი

შემოსავალი	2023	2022
შემოსავალი გაყიდვებიდან	41,981	41,661
ფასდათმობა	(721)	(1,366)
ინვენტარის გაყიდვა	826	839
სულ შემოსავალი	42,086	41,134

კომპანიის შემოსავლები დაყოფილია ორ ძირითად ნაწილად, პირველი შემოსავლები გაყიდვებიდან და მეორე არის სხვა საოპერაციო და განსაკუთრებული შემოსავლები.

19. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	2023	2022
ნედლეული და მასალები	16,500	16,285
პირდაპირი ხელფასები	1,264	1,315
არაპირდაპირი ხარჯები	2,903	2,311
სულ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	20,667	19,911

რეალიზებული საქონლის თვითღირებულების მთავარი ნაწილი არის დანახარჯები ნედლეულსა და მასალებზე. კომპანია ასევე ყიდის მოძველებულ და გამოუყენებელ მარაგებს, რომლის ღირებულებაც ცალკე აღირიცხება.

20. გაყიდვების ხარჯები

გაყიდვების ხარჯები	2023	2022
დისტრიბუციის ხელფასები	3,586	3,452
სარეკლამო დანახარჯი	1,899	1,436
სატრანსპორტო დანახარჯი	943	1,819

სს „არგო“

შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2023 წლის 31 დეკემბერი

თანხები მოცემულია ლარში '000

ექსპორტთან დაკავშირებული ხარჯი	82	30
სულ გაყიდვების ხარჯები	6,510	6,737

თვითღირებულების ხარჯების უდიდეს ნაწილს შეადგენს დისტრიბუციის სახელფასო დანახარჯები.

21. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	2023	2022
კომუნალური ხარჯი	125	127
ადმინისტრაციული ხელფასები	2,915	3,508
დაზღვევის ხარჯები	75	157
ფიზიკური პირების გაწეული მომსახურების ხარჯი	290	282
საიჯარო ქირა	236	165
ქონების გადასახადი	563	546
საკონსულტაციო ხარჯი	68	32
მივლინების ხარჯი	57	90
საკომუნიკაციო ხარჯი	55	54
საოფისე ინვენტარის ხარჯი	3	26
შეკეთების ხარჯი	367	488
ბანკის მომსახურების ხარჯი	4	134
წარმომადგენლობითი ხარჯი	7	19
საგადასახადო ხარჯი	21	15
რემონტის ხარჯი	58	19
სხვა ხარჯები	48	31
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	4,892	5,693

22. ფინანსური ხარჯები

ფინანსური ხარჯები	2023	2022
საპროცენტო ხარჯი	4,803	3,980
სხვა ფინანსური ხარჯი	(3)	(2)
სულ ფინანსური ხარჯი	4,800	3,978

23. სხვა არასაოპერაციო ხარჯები

სხვა არასაოპერაციო ხარჯები	2023	2022
მარაგების გაფუჭება	-	474
მარაგების კორექტირება	8	-
არაეკონომიკური ხარჯები	35	-
არასაოპერაციო ხარჯები	75	-
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	2,407	2,589

სს „არგო“

შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2023 წლის 31 დეკემბერი

თანხები მოცემულია ლარში '000

სხვა არასაოპერაციო ხარჯები	2,525	3,063
----------------------------	-------	-------

სხვა არასაოპერაციო ხარჯები ძირითადად მოიცავს გაფუჭების ხარჯებსა და სხვა არასაოპერაციო ხარჯებს. ჯამური არასაოპერაციო ხარჯი 2022 წლისთვის შეადგენდა 3,063 ათას ლარს, ხოლო 2023 წლისთვის 2,525 ათას ლარს.

24. გაუთვალისწინებელი შემთხვევები და ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა განსხვავებულ ინტერპრეტაციასა და ცვლილებებს ექვემდებარება, რამაც შესაძლოა ხშირად იჩინოს თავი. მენეჯმენტის მიერ ასეთი კანონმდებლობის ინტერპრეტაცია, რომელიც გამოიყენება კომპანიის ტრანზაქციებსა და საქმიანობაზე, შეიძლება გააპროტესტოს შესაბამისმა ორგანოებმა. საქართველოს საგადასახადო ორგანო ხდება უფრო და უფრო მკაცრი და კომპლექსური, ამიტომ ტრანზაქციები და საქმიანობა, რაც მანამდე არ იყო გადახდილი, შეიძლება გადაიხედოს. ამან შეიძლება გამოიწვიოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტები. თუმცა მენეჯმენტს სჯერა რომ მის მიერ შესაბამისი კანონმდებლობის ინტერპრეტაცია სწორია და კომპანიის საგადასახადო და სავალუტო კანონმდებლობა შენარჩუნდება იგივე. 2023 წლის 31 დეკემბრის დამომარებით პოტენციური საგადასახადო ვალდებულებების რეზერვი არ დაფიქსირებულა.

25. ფინანსური რისკის მართვა

კომპანიის რისკის მენეჯმენტის ფუნქციები იწარმოება, ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს, საპროცენტო რისკს და სხვა საფასურთან დაკავშირებულ რისკებს), ასევე საკრედიტო რისკებს და ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს. ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა. საოპერაციო და იურიდიული რისკ მენეჯმენტის ფუნქციები შედგენილია იმაზე გათვლით რომ მოხდეს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოება, რათა აცილებული იქნას თავიდან საოპერაციო და იურიდიული რისკები.

ბაზრის რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს, საბაზრო რისკები ჩნდება არა სამუშაო მდგომარეობაში ა) უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში ბ) საპროცენტო აქტივების და ვალდებულებები მიმართებაში გ) ფასიან ქაღალდებთან მიმართებაში, ყველა მათგანი დაუცველია ზოგადი და სპეციფიური საბაზრო ცვალებადობის მიმართ. მენეჯმენტი აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება. მგრძნობიარობა ქვემოთ დასახელებულ საბაზრო რისკების გავლენაზე გამოყოფილია მხოლოდ ერთი ფაქტორის ცვლილებაზე გათვლით, როდესაც სხვა ფაქტორები რჩება მუდმივი. პრაქტიკაში კი მოვლენების ასეთი განვითარება ნაკლებად მოსალოდნელია ცვლილებები ზოგიერთ კოეფიციენტში კორელაციაშია ერთმანეთთან, მაგალითად ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში შესაძლებელია კორელაციაში იყოს სავალუტო კურსის ცვლილებებთან.

სავალუტო რისკი

სს „არგო“

შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2023 წლის 31 დეკემბერი

თანხები მოცემულია ლარში '000

სავალუტო რისკი არის რისკი რომ ცვლილებები სავალუტო კურსებში უარყოფითად შეიძლება აისახოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანიას აქვს გარკვეული ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის სამართავად, ამავდროულად კომპანიის მენეჯმენტი ცდილობს რისკების შემცირებას უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივების და ვალდებულების კომპანიის დონეზე მართვით.

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების უცხოური სავალუტო რისკის სტრუქტურას 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

2023	რუბლი	აშშ დოლარი	ევრო	ლარი	სულ
ფინანსური აქტივები					
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	1,214	369	2,055	3,638
ფული და ფულის ექვივალენტები	-	264	-	111	375
სულ ფინანსური აქტივები	8	1,478	369	2,166	4,013
ფინანსური ვალდებულებები					
ვალდებულება ფინანსურ იჯარაზე	-	-	-	264	264
გრძელვადიანი სესხები	-	15,719	5,538	9,111	30,368
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	569	1,036	3,940	3,700	9,245
გადასახდელი პროცენტი	-	40	1,386	87	1,513
მოკლევადიანი სესხები	-	9,254	243	551	10,048
სულ ფინანსური ვალდებულებები	569	26,049	11,107	13,713	51,438
წმინდა პოზიცია	(561)	(24,571)	(10,738)	(11,547)	(47,425)
2022	რუბლი	აშშ დოლარი	ევრო	ლარი	სულ
ფინანსური აქტივები					
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	36	1,852	436	6,848	9,136
ფული და ფულის ექვივალენტები	-	265	-	93	358
სულ ფინანსური აქტივები	36	2,117	436	6,941	9,494
ფინანსური ვალდებულებები					
ვალდებულება ფინანსურ იჯარაზე	-	-	-	818	818
გრძელვადიანი სესხები	-	16,589	5,369	10,240	32,198
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	278	684	2,327	3,102	6,113
გადასახდელი პროცენტი	-	22	886	7	915
მოკლევადიანი სესხები	-	1,493	236	550	2,279
სულ ფინანსური ვალდებულებები	278	18,788	8,818	14,717	42,323
წმინდა პოზიცია	(242)	(16,671)	(8,382)	(7,776)	(32,829)

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების, გასტუმრებას. კომპანიის აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე.

სს „არგო“

შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2023 წლის 31 დეკემბერი

თანხები მოცემულია ლარში '000

მენეჯმენტი აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების უწყისის ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას.

კომპანიის ლიკვიდურობის პორტფელი მოიცავს ფულს და ფულის ექვივალენტებს (შენიშვნა 10) მენეჯმენტი ადგენს ფულის და საბანკო დეპოზიტების დაახლოებით ლიკვიდურობის პორტფელს გარდა შეზღუდული თანხებისა რომელთა გამოყენებაც შეიძლება ერთი დღის მანძილზე რათა მოხდეს წინასწარ განუსაზღვრელი ლიკვიდურობის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

ქვემოთ მდებარე ცხრილში მოყვანილია კომპანიის ვალდებულებები 2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დარჩენილი საკონტრაქტო ღირებულებით. თანხები რომლებიც მოცემულია ვადების ცხრილში წარმოადგენ საკონტრაქტო არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს. ამგვარი არა დისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე არსებულ ნაშთებისგან რადგან მასში ნაშთები წარმოდგენილია დისკონტირებული ღირებულებით. გადახდები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია მიმდინარე კურსით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ფინანსური ვალდებულებების ვადების ანალიზი 2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია ქვემოთ:

2023	1 წლამდე	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,646	-	-	3,646
ფული და ფულის ექვივალენტები	375	-	-	375
სულ ფინანსური აქტივები	4,021	-	-	4,021
ფინანსური ვალდებულებები				
ვალდებულება ფინანსურ იჯარაზე	225	40	-	265
გრძელვადიანი სესხები	-	24,831	5,538	30,369
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	6,618	1,891	945	9,454
გადასახდელი პროცენტი	1,513	-	-	1,513
მოკლევადიანი სესხები	10,048	-	-	10,048
სულ ფინანსური ვალდებულებები	18,404	26,761	6,484	51,648
წმინდა პოზიცია	(14,383)	(26,761)	(6,484)	(47,627)
2022	1 წლამდე	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9,172	-	-	9,172
ფული და ფულის ექვივალენტები	358	-	-	358
სულ ფინანსური აქტივები	9,530	-	-	9,530
ფინანსური ვალდებულებები				
ვალდებულება ფინანსურ იჯარაზე	1,025	(207)	-	818
გრძელვადიანი სესხები	-	26,829	5,369	32,198
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	6,474	1,850	925	9,248
გადასახდელი პროცენტი	915	-	-	915
მოკლევადიანი სესხები	2,279	-	-	2,279
სულ ფინანსური ვალდებულებები	10,693	28,472	6,294	45,458
წმინდა პოზიცია	(1,163)	(28,472)	(6,294)	(35,928)

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვეს კომპანიის მფლობელები იმის და მიხედვით თუ როგორი მოთხოვნები აქვთ მათ კაპიტალის ოპტიმალურ სტრუქტურასთან დაკავშირებით. კომპანია მართავს თავის კაპიტალის სტრუქტურას მხოლოდ იურიდიული მოთხოვნების შესაბამისად იმ იურისდიქციებში, რომელშიც კომპანია ოპერირებს.

26. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება იმ თანხის რაოდენობით, რა თანხადაც შესაძლებელია ფინანსური ინსტრუმენტის გაცვლა/რეალიზაცია მიმდინარე ანგარიშსწორებისას თანაბარი ინფორმაციის მქონე და ნებაყოფლობით მხარეებს შორის გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით. გარდა სალიკვიდაციო ან ძალდატანებითი გაყიდვის ტრანზაქციებისა.

აქედან გამომდინარე ქვემოთ წარმოდგენილი შეფასებები აუცილებლად არ მიუთითებს იმ თანხას, რომელსაც მიღებაც შეუძლია კომპანიას, რომელიმე ფინანსური ინსტრუმენტის ბაზარზე მისი აქტივების სრული რეალიზაციისას შემთხვევაში.

კომპანიის ბალანსზე არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი და საბალანსო ღირებულების შედარება იხილეთ ქვემოთ:

		31-დეკ-2023	31-დეკ-2022
	საბალანსო ღირებულება	საბალანსო ღირებულება	საბალანსო ღირებულება
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,646	3,646	9,172
ფული და ფულის ექვივალენტები	375	375	358
ვალდებულება ფინანსურ იჯარაზე	264	264	818
გრძელვადიანი სესხები	30,369	30,369	32,198
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9,245	9,245	6,391
გადასახდელი პროცენტი	1,513	1,513	916
მოკლევადიანი სესხები	10,048	10,048	2,279

27. დაკავშირებული მხარეები

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია IAS 24 -ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს :

(ა) მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავალის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამზრახველები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;

(ბ) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივი საწარმო.

სს „არგო“

შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2023 წლის 31 დეკემბერი

თანხები მოცემულია ლარში '000

(გ) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;

(დ) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.

(ე) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;

(ვ) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.

(ზ) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

შემდგომი ოპერაციები განხორციელდა დაკავშირებულ მხარეებთან:

სხვა ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან:

დაკავშირებული მხარე	ოპერაციის შინაარსი	2023	2022
სს კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	18	18
სს კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	338	332
აქციონერისგან მიღებული სესხი	მიღებული სესხი	359	352
სულ დაკავშირებული მხარეები		715	702

დაკავშირებულ პირებზე გაცემული ხელფასები:

	2023	2022
მენეჯმენტის ანაზღაურება	1,643	1,508
სულ	1,643	1,508

28. ფუნქციონირებადობა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით. ბუღალტრული აღრიცხვის ამ პრინციპის გამოყენება შესაფერისია თუ ხელმძღვანელობას არ აქვს განზრახული კომპანიის ლიკვიდაცია ან ოპერაციების შეწყვეტა, ან არ აქვს ასე მოქცევის რეალური ალტერნატივა.

საანგარიშო პერიოდებში კომპანიას აქვს დადებითი „EBITDA“, თუმცა წმინდა მოგება(ზარალი) შემცირებულია წინა პერიოდთან შედარებით და დაგროვილი ზარალის ოდენობა იზრდება, რისი გამომწვევი მიზეზი გახდა, ზრდა ცვეთის ხარჯში და ფინანსურ ხარჯებში. ასევე გავლენა იქონია გაყიდვებზე, პარტნიორ ქვეყნებში არსებულმა სიტუაციამ, რამაც მნიშვნელოვნად იმოქმედა ექსპორტზე, წინა პერიოდთან შედარებით შემცირდა გაყიდვები, თუმცა ამას მაშტაბური გავლენა არ ქონია კომპანიაზე. ბიზნესის პერსპექტივა არწმუნებს მენეჯმენტს, რომ არ არსებობს ამ ეტაპზე ფუნქციონირებადობის პრობლემები.

29. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 28 მარტს. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გაშვებამდე მნიშვნელოვანი მოვლენები არ დაფიქსირებულა.

მენეჯმენტის სახელით,
ხელმოწერი პირი

დირექტორი

სს „არგო“

მმართველობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

და

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

სარჩევი

კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა	2
ინდუსტრიის მიმოხილვა	3
ფინანსური მაჩვენებლები	4-5
დასკვნის ბოლო გვერდი	6

1. კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა

სააქციო საზოგადოება ლუდსახარში “არგო“-ს ისტორია იწყება 2017 წლის მარტიდან, როდესაც კომპანიამ შეიძინა ცნობილი ლუდსახარში “კასტელ საქართველოს” აქტივები და საქართველოს ბაზარზე შევიდა როგორც ახალი, ყველასთვის უცნობი მოთამაშე. მიუხედავად იმისა, რომ კომპანიას არ გააჩნდა კარგი სასტარტო პოზიცია და როგორც მწარმოებელი, იყო უცნობი ქართველი მომხმარებლისათვის, საბოლოოდ მისი სტარტი ძალიან წარმატებული აღმოჩნდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ მისი წარმატება განპირობებული იყო შემდეგი რამდენიმე ფაქტორით:

1. გამოცდილი და მაღალკვალიფიციური მენეჯმენტი
2. სწორად აწყობილი საწარმოო პროცესები
3. სტანდარტების შესაბამისი და უმაღლესი ხარისხის პროდუქცია
4. ხარისხის კონტროლი
5. ეფექტური ლოჯისტიკა
6. გაყიდვებისა და წარმოების სწორი გეგმარება და ა.შ.

კომპანიას გააჩნია გამართული სადისტრიბუციო ქსელი როგორც თბილისის ასევე მთელი საქართველოს მასშტაბით. არგოს პროდუქციის რეალიზაცია ხდება არა მარტო საქართველოში, არამედ უცხოურ ბაზრებზეც (ექსპორტი) – ჩინეთი, პოლონეთი, რუსეთი, ამერიკა, აზერბაიჯანი, უკრაინა, ლატვია სომხეთი და ა.შ.

კომპანიის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, მისი აქტივობა არ ახდენს გარემოზე რაიმე სახის ნეგატიურ ზეგავლენას და შესაბამისად გარემოზე ზემოქმედებასთან დაკავშირებით ანგარიშს არ აწარმოებს.

ამჟამად არგოს დასაქმებული ყავს 400-მდე თანამშრომელი. კომპანიის საკადრო პოლიტიკა ითვალისწინებს თანამშრომლების შერჩევას ღია კონკურსის წესით, ხოლო მათი გათავისუფლების პროცედურები სრულიად შეესაბამება საქართველოს შრომითი კოდექსით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. კომპანიის მმართველი გუნდი ორიენტირებულია დასაქმებულ პერსონალთან ხანგრძლივ და სტაბილურ ურთიერთობაზე. ამასთანავე კომპანია ზრუნავს კადრების პროფესიულ განვითარებაზე პერიოდული ტრენინგებითა და სასწავლო კურსებზე დასწრების ორგანიზებით.

1.1. ინფორმაცია შვილობილ კომპანიაზე

სააქციო საზოგადოება “არგოს” არ გააჩნია შვილობილი კომპანიები.

2. ინდუსტრიის მიმოხილვა

ბოლო წლების განმავლობაში, ლუდის ინდუსტრია საკმაოდ სწრაფად ვითარდება. 2023 წლის ბოლოსთვის, რეგისტრირებულ ლუდის მწარმოებელთა რაოდენობა გაიზარდა. მათ რიცხვს მიეკუთვნება როგორც დიდი ქარხნები, ასევე მცირე მეწარმეები და საოჯახო ლუდსახარშები. ყოველ მათგანს საკუთარი ნიშა აქვს შერჩეული და სხვადასხვა სეგმენტზე მუშაობს: ადგილობრივი საცალო ბაზრის ათვისება, სარესტორნო ბიზნესი, ცოცხალი არაპასტერიზებული - კრაფტ ლუდის წარმოება, ექსპორტი და ა.შ.

2023 წელს ლუდის ბაზარზე მოქმედი 4 მსხვილი ლუდსახარშია:

1. ნატახტარი - წარმოდგენილი ლუდის ბრენდებით: ნატახტარი, ქარვა, ეფესი, ლოვენბრაუ, ოტინგერი, სტაროპრამენი, კოზელი, ექსტრა, კასრის, მთიელი, კაიზერი;
2. ზედაზენი - წარმოდგენილი ლუდის ბრენდებით: ზედაზენი, ბავარია, რაგნარი, სვიანი, ჰოლსტენი, ჰარპი, ბელგიური;
3. გლობალ ბიერ ჯორჯია - წარმოდგენილი ლუდის ბრენდებით: აისი, კრუმოვიცე, ჰეინეკენი, ამსტელი, ყაზბეგი, კაიაკი, პორტერი, ლუდინგი, შავი ლომი, მირზაანი;
4. არგო - წარმოდგენილია ლუდის ბრენდებით: არგო, ჰერცოგი, ჰოლანდია, ალუდა, გერმანული;

აღსანიშნავია, რომ ყველა ზემოთჩამოთვლილი ლუდსახარში საქართველოს ბაზარზე წარმოდგენილია არა მხოლოდ ადგილობრივი წარმოების ლუდით, არამედ ცნობილი ევროპული ბრენდების ლიცენზირებული პროდუქციით.

ლუდსახარში კომპანიების დაფარვის ზონაა სრულიად საქართველოს სხვადასხვა სავაჭრო არხი. ლუდის რეალიზაცია ხდება მცირე ზომის მარკეტებში, დიდ სავაჭრო ქსელებში, რესტორნებსა და სასტუმროებში. კომპანიების ჭრილში თბილისსა და რეგიონებში გაყიდვების პროცენტული გადანაწილება საშუალოდ შემდეგნაირად გამოიყურება: თბილისი 56%, რეგიონი 44%;

ქართული ლუდის ბაზარზე ახალი ბრენდების გამოჩენასთან ერთად იზრდება კონკურენციის დონეც. შესაბამისად მაღალ ხარისხთან ერთად საუკეთესო ფასის შეთავაზებაც მთავარ გამოწვევად რჩება.

კომპანია არგო ლუდის გარდა აწარმოებს ლიმონათის უბველეს ბრენდს, ზანდუკელს.

ლიმონათის კატეგორიაში არგოს კონკურენციას ნატახტარი უწევს. აგრეთვე რეგიონებში მცირე მწარმოებლები, რომლებიც ადგილობრივ მოსახლეობას პროდუქტს სთავაზობენ დაბალ ფასად, ხარისხის დათმობის ხარჯზე.

2023 წელს ლიმონათის რეალიზაცია მკვეთრად გაიზარდა როგორც ადგილობრივ ისე საექსპორტო ბაზარზე.

3. ფინანსური მაჩვენებლები

სს „არგო“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ლარში '000

	31-Dec-23	31-Dec-22
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	84,409	72,724
არამატერიალური აქტივები	7,147	7,845
სულ გრძელვადიანი აქტივები	91,555	80,568
მიმდინარე აქტივები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,646	9,172
წინასწარ გაწეული ხარჯები	2,061	2,049
სასაქონლო მატერიალური მარაგები	10,565	10,203
ფული და ფულის ექვივალენტები	375	359
სულ მიმდინარე აქტივები	16,647	21,781
სულ აქტივები	108,202	102,348
კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	39,125	39,125
გაუნაწილებელი მოგება	-12,437	-12,910
სხვა რეზერვები და დაფინანსება	19,443	7,681
მოგება ბიზნესის შესყიდვიდან	12,932	17,553
მიმდინარე პერიოდის მოგება/ზარალი	-5,295	474
სულ კაპიტალი	53,768	51,921
გრძელვადიანი ვალდებულებები		
ვალდებულება ფინანსურ იჯარაზე	264	818
გრძელვადიანი სესხები	30,369	32,198
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	30,633	33,016
მიმდინარე ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9,245	6,391
მიღებული ავანსები	211	2,857
სხვა მიმდინარე ვალდებულება	2,786	4,969
გადასახდელი პროცენტი	1,513	916
მოკლევადიანი სესხები	10,048	2,279
სულ მიმდინარე ვალდებულებები	23,802	17,412
სულ ვალდებულებები	54,435	50,428
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	108,202	102,348

სს „არგო“

სრული შემოსავლების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ლარში '000

	2023	2022
შემოსავალი პროდუქციის და მომსახურების რეალიზაციიდან	42,086	41,134
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-20,667	-19,911
გაყიდვების ხარჯები	-6,510	-6,737
საერთო მოგება	14,909	14,486
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	-4,892	-5,693
სხვა საოპერაციო ხარჯი	0	-1
საოპერაციო ხარჯი	-4,892	-5,694
საოპერაციო მოგება	10,017	8,792
ცვეთა და ამორტიზაცია	-7,487	-6,159
სხვა ფინანსური ხარჯი	-4,801	-3,978
წმინდა მოგება/ზარალი საკუთროსო სხვაობიდან	-434	4,844
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	-67	37
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	-2,525	-3,063
არასაოპერაციო ხარჯები	-15,313	-8,319
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	-5,296	473
მოგების გადასახადის ხარჯი	-	-
წმინდა მოგება	-5,296	473

2023 წელს წინა წელთან შედარებით სს „არგომ“ საკუთარი წმინდა რეალიზაცა 2.3%-ით გაზარდა, 41 მლნ ლარიდან 42 მლნ ლარამდე, რის შედეგადაც კომპანიის საოპერაციო მოგება 14%-ით გაიზარდა 8.7 მლნ ლარიდან 10 მლნ ლარამდე.

წინა წელთან შედარებით, 2023 წელს კომპანიის მთლიანი აქტივები 6 მლნ ლარით გაიზარდა (102-დან 108 მლნ ლარამდე). ხოლო მიმდინარე ვალდებულებები გაიზარდა 6 მლნ ლარით (17-დან 23 მლნ ლარამდე)

4. სამომავლო გეგმები

მიმდინარე, 2024 წელს, არგო განაგრძობს ზრდას. კომპანია გეგმავს შესთავაზოს სიახლეები მომხმარებელს. მიმდინარე წელს არგომ გაზარდა ექსპორტიორი ქვეყნების რაოდენობა და შესაბამისად 2024 წელს 2023 თან შედარებით 2.5ჯერ გაზრდილია რეალიზაცია ექსპორტზე.

ამგვარად, მიმდინარე წელს კომპანია აგრძელებს გაყიდვების ზრდის ტენდენციას და მოელის 2023 წელთან შედარებით გაყიდვების ზრდას.

დირექტორი
ვასილ სულხანიშვილი

29 სექტემბერი, 2024 წელი
თბილისი, საქართველო

4. სამომავლო გეგმები

მიმდინარე, 2024 წელს, არგო განაგრძობს ზრდას. კომპანია გეგმავს შესთავაზოს სიახლეები მომხმარებელს. მიმდინარე წელს არგომ გაზარდა ექსპორტიორი ქვეყნების რაოდენობა და შესაბამისად 2024 წელს 2023 თან შედარებით 2.5ჯერ გაზრდილია რეალიზაცია ექსპორტზე.

ამგვარად, მიმდინარე წელს კომპანია აგრძელებს გაყიდვების ზრდის ტენდენციას და მოელის 2023 წელთან შედარებით გაყიდვების ზრდას.

დირექტორი
ვასილ სულხანიშვილი

ვ. სულხანიშვილი



29 სექტემბერი, 2024 წელი
თბილისი, საქართველო

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვეს კომპანიის მფლობელები იმის და მიხედვით თუ როგორი მოთხოვნები აქვთ მათ კაპიტალის ოპტიმალურ სტრუქტურასთან დაკავშირებით. კომპანია მართავს თავის კაპიტალის სტრუქტურას მხოლოდ იურიდიული მოთხოვნების შესაბამისად იმ იურისდიქციებში, რომელშიც კომპანია ოპერირებს.

26. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება იმ თანხის რაოდენობით, რა თანხადაც შესაძლებელია ფინანსური ინსტრუმენტის გაცვლა/რეალიზაცია მიმდინარე ანგარიშსწორებისას თანაბარი ინფორმაციის მქონე და ნებაყოფლობით მხარეებს შორის გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით. გარდა სალიკვიდაციო ან ძალდატანებითი გაყიდვის ტრანზაქციებისა.

აქედან გამომდინარე ქვემოთ წარმოდგენილი შეფასებები აუცილებლად არ მიუთითებს იმ თანხას, რომელსაც მიღებაც შეუძლია კომპანიას, რომელიმე ფინანსური ინსტრუმენტის ბაზარზე მისი აქტივების სრული რეალიზაციისას შემთხვევაში.

კომპანიის ბალანსზე არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი და საბალანსო ღირებულების შედარება იხილეთ ქვემოთ:

		31-დეკ-2023	31-დეკ-2022
	საბალანსო ღირებულება	საბალანსო ღირებულება	საბალანსო ღირებულება
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,646	3,646	9,172
ფული და ფულის ექვივალენტები	375	375	358
ვალდებულება ფინანსურ იჯარაზე	264	264	818
გრძელვადიანი სესხები	30,369	30,369	32,198
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9,245	9,245	6,391
გადასახდელი პროცენტი	1,513	1,513	916
მოკლევადიანი სესხები	10,048	10,048	2,279

27. დაკავშირებული მხარეები

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია IAS 24 -ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს :

(ა) მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავალის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამზრახველები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;

(ბ) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივი საწარმო.